



## Tax Newsletter

May 2024

### Writing off tax debt for individuals

An amendment was made to the Tax Code of Georgia, specifically, Subparagraph "d" was added to Paragraph 37 of Article 309 of the Code. According to this amendment, recognized tax debt of an individual, which originated before 1 January 2021, and exists at the time of the write-off, as well as the accrued interest on it, is subject to write-off.

**The amendment came into force on 29 May 2024.**

### Tax benefits for foreign enterprises registered in offshore countries

Amendments have been made to the Tax Code of Georgia, specifically Article 309, which has been supplemented with Paragraph 146. According to this new provision, if the ownership of all assets (including shares/stocks) of a foreign enterprise registered in an offshore country is transferred to a Georgian enterprise by 1 January 2028:

- Income/benefit received from this operation by the foreign enterprise and its partner individual, which is considered income sourced from Georgia for the purposes of this Code, is exempt from profit/income tax.
- The importation of the asset/goods into Georgia is exempt from import duties.
- The Georgian enterprise is exempt from property tax on the asset received through this operation until January 1, 2030.

According to the law, these benefits apply if:

- The same individual (or group of individuals) owns 100 percent of the shares/stocks in both the foreign enterprise registered in the offshore country and the Georgian enterprise.
- The asset being transferred is owned by the foreign enterprise registered in the offshore country as of the effective date of this provision.

**The amendment came into force on 29 May 2024.**

## VAT treatment of services related to immovable property

Order No. 996 of December 31, 2010, of the Minister of Finance of Georgia "On Tax Administration" has been supplemented with Article 66<sup>6</sup>, which establishes criteria for determining the place of service provision related to immovable property for VAT purposes.

We remind you that according to the Paragraph 4 of the Article 162<sup>1</sup> of the Tax Code of Georgia, the place of service provision related to immovable property is considered to be the place where the immovable property is located. According to Article 66<sup>6</sup> added to Order No. 996, services related to immovable property include only those types of services that have a direct connection to immovable property. A service is considered directly related to immovable property in the following cases:

- If the service derives from immovable property, which constitutes an integral and inseparable element of the service. Moreover, the provision of such service is impossible without the immovable property;
- If the service is provided in relation to immovable property, including if it aims at any kind of physical change to the immovable property or any form of change to its legal status.

The new article includes a list of services related to immovable property. Such services include, among others, the provision of services for the preparation of construction work, expert services for immovable property, leasing of immovable property, real estate agent services, legal services related to the transfer of ownership of immovable property, the creation or transfer of specific rights or property rights on immovable property, including the drafting of real estate sale agreements, and others.

**The amendment came into force on 27 May 2024.**

## New methodological instruction on taxation of income received from international carriage of goods at the source of payment

Order No. 11601 issued by the Head of the Revenue Service has approved a new methodological instruction, which defines the rules and conditions for considering income derived from transportation services in international shipments as income sourced from Georgia, the taxation at the source of such income, and the application of tax benefits.

The methodological guideline discusses specific examples and makes evaluations within the context of these specific examples. Here are a few of them:

### Example 1

#### **Factual Circumstance**

A freight forwarder must organize the transportation of cargo from Istanbul to Tbilisi for a resident enterprise (the customer). The cost of the forwarder's service (compensation amount) is 10,000 GEL (including income/profit tax), which includes the costs of cargo transportation and related expenses. The forwarder is a non-resident entity that does not have a permanent establishment in Georgia.

## Tax Overview

The transportation of cargo from Istanbul to Tbilisi is considered an international shipment. The income received from the service provided by the forwarder is considered income sourced from Georgia, which is taxed at the source without deductions, at 10%. As a result, the resident enterprise will withhold 10% of the amount payable for the international shipping service provided by the non-resident forwarder and will pay 1,000 GEL (10,000 x 10%) to the budget.

## Example 2

### Factual Circumstance

A resident enterprise (the customer) ordered the organization of cargo transportation from a non-resident forwarding company E, which does not have a permanent establishment in Georgia. The transportation route is Almaty - Tbilisi. The compensation amount for the transportation is 2,000 GEL (including income/profit tax). The non-resident forwarder E, in turn, ordered the cargo transportation service from non-resident company R (which does not have a permanent establishment in Georgia), which carried out the transportation from Almaty to Tbilisi. The compensation amount for the transportation is 1,800 GEL (including income/profit tax).

### Tax Overview

The transportation of cargo from Almaty to Tbilisi is considered an international shipment. The income received from the service provided by the forwarder is considered income sourced from Georgia, which is taxed at the source without deductions, at 10%. As a result, the resident enterprise (the customer) will withhold 10% of the amount payable for the international shipping service provided by the non-resident forwarder E and will pay 200 GEL (2,000 x 10%) to the budget. Additionally, the income received from the transportation service provided by non-resident company R from Almaty to Tbilisi is also considered income sourced from Georgia. However, since non-resident forwarder E does not have a permanent establishment in Georgia, it does not act as a tax agent and is not required to withhold tax at the source.

**The amendment came into force on 21 May 2024.**

This publication provides only general information, and it is not recommended to make decisions on specific cases based solely on this document. It is important that you consult a professional before making any decisions. Andersen in Georgia disclaims any liability for any loss resulting from actions taken or not taken by individuals relying on the information in this publication or making decisions based on it. In case you would like to discuss the issues addressed in this publication with relation to the specific circumstances relevant for you, please contact Andersen in Georgia.

**George Svanadze, Ph.D., LL.M., MLB (Bucerius/WHU)**

**Managing Partner | Attorney-at-Law**

[george.svanadze@ge.andersen.com](mailto:george.svanadze@ge.andersen.com)

**Lasha Adamashvili, LLB, LL.M**

**Head of Tax and Advisory**

[lasha.adamashvili@ge.andersen.com](mailto:lasha.adamashvili@ge.andersen.com)

**Giorgi Khanjaliashvili, LLB, LL.M**

**Tax Manager – Tax and Advisory**

[giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com](mailto:giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com)



## საგადასახადო სიახლეები მაისი 2024

### საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა ფიზიკური პირებისთვის

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება, კერძოდ კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილს დაემატა „დ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც ჩამოწერას ექვემდებარება ფიზიკური პირის აღიარებული, 2021 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ჩამოწერის მომენტისთვის არსებული საგადასახადო დავალიანება და მასზე დარიცხული საურავი.

ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 29 მაისიდან

### საგადასახადო შეღავათები შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოებისათვის

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება, კერძოდ კოდექსის 309-ე მუხლს დაემატა 146-ე ნაწილი, რომლის თანახმადაც: შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსთვის 2028 წლის 1 იანვრამდე გადაცემის შემთხვევაში:

- ამ უცხოური საწარმოს და მისი პარტნიორი ფიზიკური პირის მიერ აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში მიღებული შემოსავალი/სარგებელი, რომელიც ამ კოდექსის მიზნებისთვის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად მიიჩნევა, გათავისუფლებულია მოგების/საშემოსავლო გადასახადისგან;
- აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანა/იმპორტი გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელისგან;
- საქართველოს საწარმო ამ ოპერაციის ფარგლებში მიღებულ აქტივთან დაკავშირებით 2030 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან.

კანონის თანახმად, ზემოაღნიშნული შეღავათები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ:

- შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოსა და საქართველოს საწარმოში წილის/აქციების 100 პროცენტს ერთი და იგივე ფიზიკური პირი (ფიზიკურ პირთა ჯგუფი) ფლობს;
- ხდება ისეთი აქტივის გადაცემა, რომელიც შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოს საკუთრებაში აქვს ამ ნაწილის ამოქმედების დღისთვის.

**ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 29 მაისიდან**

### **უძრავ ნივთთან დაკავშირებული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრა**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებას დამატება 66<sup>ე</sup> მუხლი, რომლითაც დადგინდა უძრავ ნივთთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის ადგილის განსაზღვრის კრიტერიუმები დღგ-ის მიზნებისათვის.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 162<sup>ე</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, უძრავ ნივთთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება ადგილი, სადაც მდებარეობს უძრავი ნივთი. №996 ბრძანებაში დამატებული 66<sup>ე</sup> მუხლის თანახმად, კი უძრავ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება მოიცავს მომსახურების მხოლოდ ისეთ სახეებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ უძრავ ნივთთან. მომსახურება უძრავ ნივთთან უშუალოდ დაკავშირებულად ჩაითვლება შემდეგ შემთხვევებში:

- თუ მომსახურება გამომდინარეობს უძრავი ნივთიდან, რომელიც წარმოადგენს მომსახურების შემადგენელ განუყოფელ ელემენტს. ამასთანავე, აღნიშნული მომსახურების გაწევა შეუძლებელია უძრავი ნივთის გარეშე;
- თუ მომსახურება გაწეულია უძრავ ნივთთან მიმართებით, მათ შორის, თუ იგი მიზნად ისახავს უძრავი ნივთის ნებისმიერი სახის ფიზიკურ ცვლილებას ან სამართლებრივი სტატუსის რაიმე ფორმით ცვლილებას.

ახალი მუხლი მოიცავს მომსახურებათა ჩამონათვალს, რომელიც უკავშირდება უძრავ ქონებას. ასეთი მომსახურებები, მათ შორის, მოიცავს სამშენებლო სამუშაოების მომზადების მომსახურებას, უძრავი ნივთის ექსპერტის მომსახურებას, უძრავი ნივთის გაქირავებას, უძრავი ნივთის აგენტის მომსახურებას, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემასთან, უძრავ ნივთზე კონკრეტული უფლების ან სანივთო უფლების წარმოშობასთან ან გადაცემასთან დაკავშირებული იურიდიულ მომსახურებას, მათ შორის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენის მომსახურებას და სხვა.

**ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 27 მაისიდან**

## მეთოდური მითითება საერთაშორისო გადაზიდვებში სატრანსპორტო მომსახურებით მიღებული შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრის შესახებ

შემოსავლების სამსახურის უფროსის №11601 ბრძანებით დამტკიცდა ახალი მეთოდური მითითება, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო გადაზიდვებში სატრანსპორტო მომსახურებით მიღებული შემოსავლის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად მიჩნევის, ასეთი შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრისა და საგადასახადო შეღავათით სარგებლობის წესებს და პირობებს.

მეთოდური მითითებაში განხილულია მაგალითები და შეფასებები მოცემულია ამ კონკრეტული მაგალითების ჭრილში. წარმოგიდგინთ რამდენიმე მათგანს:

### მაგალითი 1

#### ფაქტობრივი გარემოება

ექსპედიტორმა ორგანიზება უნდა გაუკეთოს რეზიდენტი საწარმოს (შემკვეთის) ტვირთის ჩამოტანას სტამბოლიდან თბილისში. ექსპედიტორის მომსახურების ღირებულება (საკომპენსაციო თანხა) შეადგენს 10 000 ლარს (საშემოსავლო/მოგების გადასახადის ჩათვლით), რომელიც მოიცავს ტვირთის გადაზიდვის და გადაზიდვებთან დაკავშირებულ ხარჯებს. ექსპედიტორი არარეზიდენტი პირია, რომელსაც საქართველოში არ გააჩნია მუდმივი დაწესებულება.

#### შეფასება

სტამბოლიდან თბილისში ტვირთის გადაზიდვა, ითვლება საერთაშორისო გადაზიდვად. ექსპედიტორის მიერ გაწეული მომსახურებით მიღებული შემოსავალი, ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, რომელიც იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე, 10%-ით. შედეგად, არარეზიდენტი ექსპედიტორის მიერ გაწეული საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადასახდელი თანხის 10%-ს რეზიდენტი საწარმო დააკავებს გადახდის წყაროსთან და 1000 ლარს (10 000X10%) გადაიხდის ბიუჯეტში.

### მაგალითი 2

#### ფაქტობრივი გარემოება

რეზიდენტმა საწარმომ (შემკვეთი), ტვირთის გადაზიდვის ორგანიზება დაუკვეთა არარეზიდენტ ექსპედიტორ საწარმოს E-ს, რომელსაც საქართველოში არ გააჩნია მუდმივი დაწესებულება. გადაზიდვის მარშრუტია ალმათი - თბილისი. გადაზიდვის საკომპენსაციო ღირებულება 2 000 ლარია (საშემოსავლო/მოგების გადასახადის ჩათვლით). არარეზიდენტმა ექსპედიტორმა E-მ თავის მხრივ ტვირთის გადაზიდვის მომსახურება დაუკვეთა არარეზიდენტ საწარმოს R-ს (საქართველოში არ გააჩნია მუდმივი



Andersen Georgia LLC  
 3 Lado Kavsadze street  
 0162 Tbilisi, Georgia  
[andersen.ge](http://andersen.ge)

შპს ანდერსენ ჯორჯია  
 ლადო კავსაძის ქუჩა 3  
 0162 თბილისი, საქართველო  
[andersen.ge](http://andersen.ge)

დაწესებულება), რომელმაც განახორციელა ტვირთის ჩამოტანა ალმათიდან თბილისში. გადაზიდვის საკომპენსაციო ღირებულება 1 800 ლარია (საშემოსავლო/მოგების გადასახადის ჩათვლით).

## შეფასება

ალმათიდან თბილისში ტვირთის გადაზიდვა, ითვლება საერთაშორისო გადაზიდვად. ექსპედიტორის მიერ გაწეული მომსახურებით მიღებული შემოსავალი, ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, რომელიც იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე, 10%-ით. შედეგად, არარეზიდენტი ექსპედიტორი E-ს მიერ გაწეული საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადასახდელი თანხის 10%-ს 200 ლარს (2000\*10%) რეზიდენტი საწარმო (შემკვეთი) დააკავებს გადახდის წყაროსთან და გადაიხდის ბიუჯეტში. ამასთან, ალმათიდან თბილისში არარეზიდენტი საწარმო R-ის მიერ ტვირთის გადაზიდვის მომსახურებით მიღებული შემოსავალი, ასევე ჩაითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ არარეზიდენტი ექსპედიტორ E-ს საქართველოში არ გააჩნია მუდმივი დაწესებულება, იგი არ წარმოადგენს საგადასახადო აგენტს და არ ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება.

## ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 21 მაისიდან

პუბლიკაციაში გთავაზობთ ზოგად ინფორმაციას და მხოლოდ მასზე დაყრდნობით კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება არ არის რეკომენდირებული. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე მნიშვნელოვანია მიიღოთ პროფესიონალის კონსულტაცია. ანდერსენ ჯორჯია არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი ზიანის გამო, რომელიც გამოწვეულია იმ ქმედებებით, რომლებიც განხორციელდა ან არ განხორციელდა ამ პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. თუ გსურთ ამ საკითხების განხილვა თქვენთვის რელევანტური კონკრეტული გარემოების კონტექსტში, გთხოვთ დაუკავშირდეთ ანდერსენ ჯორჯიას.

გიორგი სვანაძე, Ph.D., LL.M., MLB (Bucerius/WHU)

მმართველი პარტნიორი | ადვოკატი

[george.svanadze@ge.andersen.com](mailto:george.svanadze@ge.andersen.com)

ლაშა ადამაშვილი, LL.B, LL.M

საგადასახადო და საკონსულტაციო პრაქტიკის ხელმძღვანელი

[lasha.adamashvili@ge.andersen.com](mailto:lasha.adamashvili@ge.andersen.com)

გიორგი ხანჯალიაშვილი, LL.B, LL.M

საგადასახადო მენეჯერი | ადვოკატი

[giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com](mailto:giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com)